ერიკ პლაიფონი

ცრუპილი სუთეული

პოშათა პანაპის საიდუმლო

ინგლისურიდან თარგმნა
ნათია ჯინჯოლავამ

სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

თავი პირველი საჯინიბოში 5
თავი მეორე ჯუღიენი, დიკი და ჰენრი 14
თავი მესამე სნიფეი 23
თავი მეოთხე ღამისთევა თავღაში 32
თავი მეხუთე ჯოჯს თავი ასტკივდა! 40
თავი მეექვსე ეითი მშვენიერი დღე 49
თავი მეშვიდე ჯოჯი, სნიფეი და ღიზი 57
თავი მერვე სნიფეის დანაპირები 65
თავი მეცხრე მჭედლის ნაამბობი 74
თავი მეათე სნიფეის ნიშნულები 83
თავი მეთერთმეტე მშვენიერი პატარა გეგმა 92
თავი მეთორმეტე ჩკინიგზა 101
თავი მეცამეტე ღამეული ხმები 109
თავი მეთოთხმეტე უკმაყოფილო ბოშები 117
თავი მეთხუთმეტე მშფოთვარე ღამე 125
თავი მეთექვსმეტე სქელი ნისლი 133
თავი მეჩვიდმეტე ტყვეობაში 141
თავი მეთვრამეტე ჯოჯის ხრიკი 149
თავი მეცხრამეტე ჩვენი საყვარელი ტიმი! 157
თავი მეოცე დილის მღელვარება 165
თავი ოცდამეერთე საიდუმლოს ფარდა აეხადა 174

თავი პირველი

საჯინიბოში

– ერთი კვირაა, მოწყენილობით ვკვდები, – დაიჩივლა ჯორ-ჯმა.

– სულაც არა! – თავი გააქნია ენიმ, – ცხენით სეირნობითაც ისიამოვნე და როცა არ ვჯირითობდით, თავლაში ფუსფუსიც მოგეწონა!

– გეუბნები, ყოველ წუთს მოწყენილი ვარ-მეთქი! – გაგუ-ლისდა ჯორჯი, – მე ხომ ვიცი, არა?! თან ეს საძაგელი გოგო, ჰენრიეტა. უკვე აუტანელია! რა სავალდებულოა, რომ ვემე-გობროთ?

– აჰ, ჰენრი?! – გაეცინა ენის, – მეგონა, მასთან ბევრი საერ-თო გქონდა. ზუსტად შენნაირი არაა?! ურჩევნია, ბიჭი იყოს და ბიჭივით იქცევა.

ენი და ჯორჯი თივის ზვინზე მიწოლილიყვნენ და სენდ-ვიჩებით ილუკმებოდნენ. ირგვლივ კი, მინდვრად, უამრავი ცხენი ბალახობდა. ბევრ მათგანს გოგონები უკვე კარგად იცნობდნენ – ზოგს დააჭენებდნენ, აჭმევდნენ, ზოგიერთზე კი ზრუნავდნენ და თავს ევლებოდნენ.

მოშორებით ძველისძველი, მოფამფალებული შენობა

მოჩანდა, რომლის შესასვლელზეც უზარმაზარი აბრა იყო გამოკრული:

პაპიზან ჯონსონის საცხენოსნო სკოლა

მას შემდეგ, რაც ენი და ჯორჯი ჩამოვიდნენ, ერთი კვირა გავიდა. ჯულიენი და დიკი ამ დროს თანასკოლელ ბიჭებთან ერთად ბანაკში ცხოვრობდნენ. მისის და მისტერ ჯონსონებთან ჩამოსვლა ენის იდეა იყო. ცხენები სიგიჟემდე უყვარდა. სკოლის მეგობრებისგან ჰქონდა გაგონილი, რომ თავლაში მთელი დღე მათთან ერთად ყოფნას არაფერი სჯობს. ჰოდა, გადაწყვიტა, წამოსულიყო.

ჯორჯს კი არდადეგების საჯინიბოში გატარება თავიდანვე არ უნდოდა. ჯულიენი და დიკი რომ უცხო ბიჭებთან ერთად სადღაც გაემგზავრნენ და ის და ენი არ წაიყვანეს, გაიბუტა. წარმოგიდგენიათ?! მათ გარეშე ერთობოდნენ! განა ჯორჯს არ მოეწონებოდა ბანაკი, მაგრამ ჯულიენის სკოლაში ბიჭებს და გოგონებს დასასვენებლად ერთად წასვლის ნებას, რა თქმა უნდა, არ რთავდნენ და ეს ბანაკიც მხოლოდ ბიჭების იყო.

– რა სულელი ხარ, რომ ბრაზობ, – სენდვიჩი ჩაკბიჩა ენიმ, – ბიჭებს გოგოებთან ერთად გამუდმებით ყოფნა სულაც არ მოსწონთ.

ჯორჯი სხვანაირად ფიქრობდა.

– რატომაც არა? ყველაფერი შემიძლია, რასაც ჯულიენი და დიკი აკეთებენ, – მოიღუშა გოგო, – კლდეზე ცოცვაც და შორ მანძილზე ველოსიპედის ტარებაც. სიარულითაც იმდენს ვივლი, რამდენსაც ისინი დადიან. ცურვაც ვიცი. ბიჭების უმრავლესობას ძალიან ბევრ რამეში ვაჯობებ!

– ჰენრიც ზუსტად ამას ამბობს! – გადაიკისკისა ენიმ, – შეხედე, აგერ ისიც. დიდი ნაბიჯებით მიდი-მოდის, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და მეჯინიბესავით უსტვენს.

ჯორჯი დაიმანჭა. ენის ძალიან ახალისებდა ის ამბავი, რომ ჰენრიეტამ და ჯორჯმა ერთმანეთი დანახვისთანავე ვერ აიტანეს, არადა, ორივე ერთნაირად ფიქრობდა და ერთ-ნაირად იქცეოდა. ჯორჯს სინამდვილეში ჯორჯინა ერქვა, მაგრამ პასუხს მხოლოდ მაშინ გაგცემდათ, თუ ჯორჯს დაუძახებდით. ჰენრი, სინამდვილეში – ჰენრიეტა, მხოლოდ მაშინ გამოგეხმაურებოდათ, თუ ჰენრის უწოდებდით. ჰარიც შეიძლებოდა, თუკი მისი უახლოესი მეგობარი იყავით.

ისიც ჯორჯის კბილა იყო და მასაც ჯორჯივით მოკლე თმა ჰქონდა, ოღონდ ხუჭუჭა არა.

– რა სამწუხაროა, რომ ხვეული თმა გაქვს, – უთხრა ერთხელ ჰენრიმ ჯორჯს სიბრალულით, – გოგოსავით გეხ-ვევა, არა?

– რას სულელობ! – გაბრაზდა ჯორჯი, – ხუჭუჭა თმა უამრავ ბიჭს აქვს.

ჰოდა, ჯორჯი არ აზვიადებდა – საჯინიბოში გატარებული კვირა საერთოდ, საერთოდ არ მოსწონდა! ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ ჰენრიეტა უბადლო მხედარი აღმოჩნდა და ათასგვარი თასი და ჯილდო ჰქონდა მოგებული. დანახვაც არ უნდოდა, როგორ დაჯირითობდა, უსტვენდა და თან ყველა-ფერს, სულ ყველაფერს ზედმიწევნით კარგად და სწრაფად აკეთებდა. მოკლედ, ჯორჯი ამჯერად სხვა გოგომ დაჩრდილა და ამას ვერაფრით ეგუებოდა!

ენის განსაკუთრებით ის ართობდა, გოგონებმა რომ გადაწყვიტეს, ერთმანეთისთვის ჰენრის და ჯორჯის ნაცვლად სრული სახელები – ჰენრიეტა და ჯორჯინა – დაეძახათ. ეს

იმას ნიშნავდა, რომ მიმართვაზე ერთი მეორეს არასდროს უპასუხებდა და კაპიტანი ჯონსონი, საცხენოსნო სკოლისა და საჯინიბოს ახოვანი და ბრგე მფლობელი, მათი ახირებით ძალიან დაიღალა.

– რა გჭირთ? – იკითხა კაცმა ერთ დილას, საუზმობისას, როცა შენიშნა, როგორ უბღვერდნენ ერთმანეთს, – ჭირვეული პატარა გოგონებივით იქცევით.

ენიმ გულიანად გაიცინა. ჭირვეული პატარა გოგონებივითო! უჰ, როგორ განაწყენდა ორივე კაპიტან ჯონსონზე. თავად ენის ამ კაცის სულ ცოტათი ეშინოდა კიდეც. ფიცხი იყო და პირდაპირი, სისულელეებს ვერ იტანდა. სამაგიეროდ, ცხენებს საოცრად თბილად ექცეოდა და ლაღი სიცილი უყვარდა. არდადეგების დროს მას და მის ცოლს საჯინიბოში დამხმარედ გოგო-ბიჭები აჰყავდათ და საქმესაც ბევრს ავალებდნენ. ამის მიუხედავად, ბავშვებს მათთან ყოფნა ძალიან მოსწონდათ.

– ჰენრი რომ არა, ამ კვირას მშვენივრად გაატარებდი, – დაასკვნა ენიმ და თივის ზვინთან გემრიელად მოკალათდა, – აპრილის მშვენიერი ამინდია! ცხენებიც რა საყვარლები არიან! კაპიტანი და მისის ჯონსონიც ძალიან მომწონს.

– ნეტავ ბიჭებიც აქ ყოფილიყვნენ, – ამოიოხრა ჯორჯმა, – იმ საძაგელ ჰენრიეტას ადგილს მაშინვე მიუჩენდნენ... ჯობდა, არ წამოვსულიყავი.

– შენი არჩევანი იყო, – ეწყინა ენის, – შეგეძლო, კირინის კოტეჯში დედასთან და მამასთან დარჩენილიყავი, მაგრამ ბანაკიდან ბიჭების დაბრუნებამდე ჩემთან ერთად აქ წამოსვლა არჩიე. თუ ყველაფერი ზუსტად ისე არ არის, როგორც შენ გინდა, ასეთი ამბავი არ უნდა ატეხო. მეც მიფუჭებ განწყობას.

– მაპატიე, – მოუბოდიშა ჯორჯმა, – ვიცი, რომ ვირივით

ვიქცევი, მაგრამ ბიჭები ძალიან მენატრებიან. მათთან ერთად ყოფნას მხოლოდ არდადეგებზე ვახერხებთ. როცა ჩვენთან არ არიან, კარგადაც ვეღარ ვერთობით. აქ ერთადერთი რამ მახარებს...

– არ თქვა, ისედაც ვიცი. – გაეცინა ენის, – გიხარია, რომ ტიმი ჰენრის არ ეკარება!

– ჰენრიეტას, – გაუსწორა ჯორჯმა და გაიღიმა, – დიახ, ჩვენი საყვარელი ტიმი ჭკვიანი ძაღლია. იმ გოგოს ვერაფრით შეეჩვია. მოდი, ტიმ, ჩემო ბიჭო. შეეშვი კურდღლის სოროებს და ცოტა ხანს დაისვენე. რამდენი მილი გაირბინე დილით, ცხენები რომ გავასეირნეთ?! ცხვირი ასობით კურდღლის სოროში ჩაყავი. ახლა ჩემთან მოდი და დაწყნარდი!

ტიმი კურდღლის სოროს უხალისოდ შეეშვა, ენისა და ჯორჯის გვერდით დაეხეთქა და პატრონი გულიანად ალოკა. გოგოც მიეფერა.

– ტიმ, ახლა სწორედ იმაზე ვსაუბრობდით, როგორი ჭკვიანი ხარ, იმ საძაგელ ჰენრიეტასთან რომ არ მეგობრობ, – წამოიწყო ჯორჯმა, მაგრამ ამ დროს ენისგან მუჯლუგუნი მოხვდა და მაშინვე გაჩუმდა.

თივის ზვინს ვიღაცამ შემოუარა და გოგოებს მისი ჩრდილი დაეცა.

თურმე ჰენრიეტა ყოფილა! უკმაყოფილო გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ ჯორჯის ნათქვამი გაიგონა. ჰენრიმ ჯორჯს კონვერტი მიაწოდა.

– ჯორჯინა, შენთვის წერილია, – უთხრა ცივად, – ვიფიქრე, იქნებ რამე მნიშვნელოვანია-მეთქი და მოგიტანე.

– ოჰ, გმადლობ, ჰენრიეტა, – ჯორჯმა კონვერტი გამოართვა.

მერე თავი მოახია, წაიკითხა და ამოიოხრა.

– ერთი ეს ნახე! – ფურცელი ენის გადასცა, – დედასგანაა.

ენიმ წერილი წაიკითხა: „საჯინიბოში კიდევ ერთი კვირით დარჩით, გეთაყვა. მამაშენი შეუძლოდაა. სიყვარულით, დედა“.

– როგორ არ გაგვიმართლა! – ჯორჯმა შუბლი შეიკრა, – თანაც ზუსტად მაშინ, როცა მეგონა, რომ ერთ-ორ დღეში სახლში ვიქნებოდი და კირინში ბიჭებიც შემოგვიერთდებოდნენ. ახლა საუკუნოდ აქ ჩავრჩით! მამას რაღა ეტაკა? დაგენაძლევები, უბრალოდ, თავი სტკივა ან რამე მსგავსი სჭირს და არ უნდა, შინ და გარეთ დავრბოდეთ და ვხმაურობდეთ.

– თუ არ შეგაწუხებს, რომ სახლში რემონტია და ყველაფერი თავდაყირა დგას, შეგვიძლია ჩემთან წავიდეთ, – დაამშვიდა ენიმ.

– არა. ვიცი, რომ ცხენებთან დარჩენა გინდა, – თავი გააქნია ჯორჯმა, – თანაც შენი მშობლები საზღვარგარეთ არიან და სახლში, ხელის შეშლის გარდა, ვერაფერს გავაკეთებთ... ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! ახლა გამოდის, რომ ბიჭების გარეშე კიდევ ერთი კვირა უნდა გავატაროთ. ისინი კი, რა თქმა უნდა, ბანაკში დარჩებიან.

კაპიტანი ჯონსონი გოგონების კიდევ ერთი კვირით დარჩენას, რასაკვირველია, დათანხმდა, მაგრამ გააფრთხილა: თუ კიდევ რამდენიმე ბავშვი ჩამოვა, ღამის გათევა კარვებში მოგიწევთ და იმედია, წინააღმდეგი არ იქნებითო.

– სულაც არა, – გაიხარა ჯორჯმა, – მეტიც, მე და ენის ჩვენთვის ყოფნა გვიყვარს. თან, როგორც იცით, ტიმიც გვახლავს. ასე რომ, საჯინიბოში მხოლოდ საჭმლისთვის და თქვენი დავალებების შესასრულებლად შემოვალთ, სხვა მხრივ კი ჩვენს ნებაზე ვიქნებით.

ენის გულში ეცინებოდა. ჯორჯს ხომ სინამდვილეში მხოლოდ ის უნდოდა, რომ ჰენრიეტა რაც შეიძლება იშვი-

ათად ენახა. თუმცა, გარეთ დაბანაკებას რა სჯობს, თან თუ კარგი ამინდიც იქნება. კარავს კაპიტანი ჯონსონი ათხოვებთ.

– არ გაგიმართლა, ჯორჯინა, – საუბარში ჩაერია ჰენრი, – ძალიან არ გაგიმართლა! ვიცი, აქ საშინლად მოიწყინე. რა სამწუხაროა, რომ ცხენები არ გიყვარს. რა სამწუხაროა, რომ შენ...

– მოკეტე!.. – გააწყვეტინა ჯორჯმა და ოთახიდან გავიდა.

კაპიტანმა ჯონსონმა მკაცრად შეხედა ჰენრიეტას, რომელიც ფანჯარასთან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და უსტვენდა.

– გოგონებო, მისმინეთ! – გაბრაზდა კაცი, – როგორ იქცევით თქვენ, ორნი? ბიჭებს მაიმუნებივით ჰბაძავთ და თავი ვაჟკაცებად მოგაქვთ! აბა, შეხედეთ ენის, არასდროს შეგაწუხებს! ყურის აწევა არ გაწყენდათ! ერთი ეს მითხარი, საჯინიბოში თივა თუ მიიტანე?

– დიახ, – არც კი მიბრუნებულა, ისე უპასუხა ჰენრიეტამ.

უცებ ოთახში ბიჭი შემოვარდა:

– გარეთ პატარა ბოშაა ჭროღა ჯაგლაგით. თქვენზე კითხულობს, ხომ ვერ დამეხმარებაო. ცხენს ფეხზე რაღაც სჭირს.

– ისევ ეს ბოშები! – შუბლი შეიჭმუხნა კაპიტანმა ჯონსონმა, – კარგი, ახლავე მოვალ.

კაცი გავიდა. ენი უკან გაჰყვა, რადგან გაბრაზებულ ჰენრიეტასთან ერთად ოთახში მარტო დარჩენა არ უნდოდა. გარეთ ჯორჯი იდგა, ბოშა ბიჭთან და პატარა, ჭროღა ცხენთან ერთად. ცხენის თეთრ- ყავისფერი კანი ჩრჩილის შეჭმულს ჰგავდა.

– ამჯერად რაღა უქენი? – მკაცრად ჰკითხა კაპიტანმა ჯონსონმა ბიჭს და ცხენს ფეხი დაუთვალიერა, – ჩვენთან დატოვება მოგიწევს, მე მივხედავ.

– ვერ დავტოვებ, – დაღონდა ბიჭი, – იდუმალ ჭანჭრობში ვბრუნდებით.

– მოგიწევს, – მკაცრად გაუმეორა კაპიტანმა ჯონსონმა, – ვერ ივლის. შენმა ფორანმა დანარჩენებთან ერთად უნდა იაროს, ეს ცხენი კი შესაბმელად არ გამოდგება. თუ ფორანში მანამდე შეაბამთ, სანამ ფეხი მოურჩება, მამაშენთან პოლიციას გამოვგზავნი!

– ამას ნუ იზამთ! – შეევედრა ბიჭი, – უბრალოდ, მამა ამბობს, ხვალ უნდა გავემგზავროთო.

– რა გეჩქარებათ? – კაპიტანმა ცხენი კიდევ ერთხელ დაათვალიერა, – ბანაკი ერთი-ორ დღეს ვერ მოიცდის? ჭანჭრობი ორი დღის მერეც თავის ალაგას დაგხვდებათ! ვერ ვხვდები, ასეთ უკაცრიელ ადგილას რა გინდათ. რამდენიმე კილომეტრზე არც ფერმაა, არც მოსახლეობა!

– კარგი, დავტოვებ, – გადაწყვიტა ბიჭმა და ცხენს დრუნჩზე ხელი მოუსვა. აშკარა იყო, ეს პატარა და მახინჯი არსება ძალიან უყვარდა, – მამა კი გაბრაზდება, მაგრამ დანარჩენებს მართლა შეუძლიათ უჩვენოდ წასვლა. მოგვიანებით დავეწევით.

მერე კაპიტანს გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია და მისი კაფანდარა, მზით გარუჯული სილუეტი საჯინიბოს ეზოდან გაუჩინარდა. ჭროღა ცხენი კი მშვიდად იდგა.

– პატარა თავლაში შეიყვანეთ, – დაავალა კაპიტანმა ჯორჯსა და ენის, – ერთ წუთში მეც მოვალ და ვნახავ, რა სჭირს.

გოგოებმა ცხენი თავლისკენ წაიყვანეს.

– იდუმალი ჭანჭრობი! – წამოიძახა ჯორჯმა, – რა უცნაური სახელია! ბიჭებს მოეწონებოდათ. მაშინვე მის დათვალიერებას მოინდომებდნენ, არა?